№ 176

ოთხშაბათი 27 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 176

ოთხშაბათი 27 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

## ი. ოცხელისა

(ქუთაისში)

გამართულია ვარფოლომეევისას ხლში, დადიანის ქუჩის შესახვევში,

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდგან, ყმაწვილები მიიღებიან სასწავლებელში მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე; საყმაწვილო ბაღში-კი ყოველ დროსა მთელის წლის განმავლობაში. (6—162—4)

სასწავლებელი მეორე ხარისხისა

## სპ. ბ. ჯორჯიკიასი

(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პროგიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სარეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან.

(10—6.—7)

რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი

სათავად-აზნაურო თეატრში, ოთხშაბათს, 27 აგვისტოს 1897 წ.

**ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ**

ბ. კას. აბაშიძის რეჟისორობით, სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ციმბირელი**

კომ. 4 მოქ., ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ციციშვილი, საყვარელიძე, ვაშაკიძე, დიდებულიძე და სხ. ბბ. სვიმონიძე, მესხი, გოცირიძე, იმედაშვილი, შველიძე, ხოსროევი, ჯაფარიძე და სხვ..

II

**დივერტისმენტი.**

დივერტისმენტში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს გრ. აბაშიძე. დასასრულ **ლეკური**. ანტრაქტებში დაუკრავს **მუსიკა**.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

**მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნავორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12.

სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს. (10—უ—3)

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **ბათუმის ქართულს სკოლაში დაცლილია ადგილი უმცროსის მასწავლებლისა** და ამ ადგილის დაჭერის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით გამგეობას.

**ჯამაგირად მასწავლებელს ეძლევა 480 მან. წელიწადში.**

(3—უ.—2).

**მთავრობის განკარგულებანი**

—

დამტკიცებულ იქმნა ტიტულიარნი სოვეტნიკად ფოთის ზურგის ჯარის უმცროსი ექიმი მიქაბერიძე.

გამწესებულ იქმნენ მედავითნეს შვილი გრიგოლ კაპანაძე და მიხეილ აბრამიშვილი ფოსტალიონებად, პირველი —ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა, ხოლო მეორე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა.

დანიშნულ იქმნენ ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონები კარლამ მესხი და პეტრე კვირიკაშვილი — ფოსტა-ტელეგრაფის მე-VI ხარისხის მოხელეებად.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით, ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი დემენტი მეტრეველი.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა სტამბებისა, ფოტოგრაფებისა და წიგნის მაღაზიების ინსპექტორს, რომ მან წარუდგინოს ცნობები ტფილისში აწ არსებულის ფასიანისა და უფასოს წიგნთ-საცავების და სამკითხველოების შესახებ.

*** როგორც ხმა ისმის, მთავრობას უკვე გარდაუწყვეტია, რომ ჩრდილო კავკასიაში საერობო დაწესებულებანი იქმნას შემოღებული. აღნიშნულნი დაწესებულებანი მხოლოდ მცირედად იქმნებიან შეცვლილნი და შეზღუდულნი.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ გადასწყვიტა

## ფელეტონი

—

**ბ-ნი შ. არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდები.**

(შემდეგი *)

სწორედ ასევე არ ვიცით, ბევრი სხვა ბ-ნ არაგვისპირელის უკანასკნელს ეტიუდებში გამოყვანილი მოქმედნიც შევიბრალოთ, შევიზიზღოთ, თუ სასაცილოდ ავიგდოთ? მაგრამ მოვყვეთ თავიდან და ვნახოთ, რას წარმოადგენენ თითოეულად ეს ეტიუდები? ეტიუდში „ქარი-კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“ („მოამბე“ 1895, № 7). გამოყვანილია ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც ეს არის საყვარელი ცოლი მოჰკვდომია და თავზედ დასტირის. ძალიან სცდილობს ავტორი შეგვაბრალოს ახლად დაქვრივებული ყმაწვილი კაცი და თანაგვაგრძნობინოს; ერხანად კიდეც მიაღწია თავისს საწადელს, მაგრამ დაიწყო თუ არა იმისი მოთხრობა, თუ როგორ აღიძრა სიყვარული ტიტიკოსა და ბათოს შორის (გმირების სახელებია), როგორ დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს და დაიწერეს ჯვარი, ღიმილი მოგვივიდა, რადგან ყველა ეს უფრო ვოდევილურ ამბავსა ჰგავს, ვიდრე სერიოზულ გრძნობაზედ აშენებულ რომანს. სანამ ბათოს შეირთავდა, ტიტიკო უბედური კაცი იყოვო, მოგვითხრობს ავტორი; „წარსულმა თავი შეაძულა, ცხოვრება ტანჯვად მიაჩნევინა, ყველანი მტანჯველად, ჯალათებად. მართლადაც, მთელი წარსული ტანჯვის მორევს წარმოადგენდა, რომელშიაც იმის სანუგეშოდ ჩალაც-კი არ დასცურავდა, რომელზედაც შეეძლო ხელი მიეშვირა და ეთქვა, რომ ცხოვრება ისე მწარე, გესლით სავსე არ ყოფილა, როგორიც ეგონა, როგორც დასახული ჰქონდა. სიყრმიდგან არც ერთხელ არ სმენია გულის გამალხობელი სიტყვა... მუდამ სხვის ხელში იყო და სხვის ტევას და ბლვერას იტანდა. რის ვაითა და ვაგლახით განთავისუფლდა და შევიდა ერთ დაწესებულების „კანცელარიაში“ მწერლად“. მაგრამ „იქაც ისევ ის ბლვერა, შტერა და... და ამხანაგების დაცინვა!.. ვერც ეხლა გაიგონა გულის გამალხობელი სიტყვა“.

მერე და განა „კანცელარიაში“ სხვას ვის გაუგონია „გულის გამალხობელი სიტყვა“, რომ ტიტიკოს გაეგონა. იკითხავთ თქვენ და, რასაკვირველია, ამხანაგებთან ერთად დასცინებთ ამ ახალ-მოდის რაინდს, რომლისთვისაც წარსულს თავი შეუძულებია, ცხოვრება ტანჯვად გადაუქცევია და „კანცელარიაში“ მიდის რომ „განთავისუფლდეს სხვის ხელში შეცქერას“. ჩვენ არ ვიცით, წინად ვის შესცქეროდა ბატონი ტიტიკო, მშობლებს, მზრუნველებს თუ სხვას ვისმე, ხოლო ეს როგორ არ იცოდა, რომ, თუ სადმე „სხვის ხელში შეცქერა“ დასჭირდებოდა, ეს სწორედ „კანცელარია“ იქნებოდა. მაგრამ, იქნება სხვა შრომა არაფერი შეეძლო ტიტიკოს „კანცელარიაში“ ჯდომის და თავ-აუღებლივ წერის გარდა?“ მაშინ საჭირო იყო, გვცოდნოდა მიზეზი ამისი და, თუ იგი საპატიო და თან მისგან დამოუკიდებელი იქნებოდა, შევიბრალებდით უბედურსა და ბედისაგან დაჩაგრულს ტიტიკოს, ხოლო ახლა მხოლოდ შეგვიძლიან გავიღიმოთ მისის მოქმედების გამო. რასაკვირველია, „გაუმტყუნდა იმედი“ ტიტიკოს და „კანცელარიაშიაც“ ვერ „ჰპოვა ის, რის პოვნასაც მოელოდა“. დიახ, „გულის გამალხობელ სიტყვის“ გასაგონად მივიდა ტიტიკო „კანცელარიაში“ და ის-კი იძულებული იყო, ევლო ყოველ დღე იქ და „თავ-აუღებლივ ეწერა, ეწერა, და ეწერა“. ნუ თუ კიდევ არ შეიბრალებთ უბედურ ტიტიკოს, რომელიც ამასთანავე „ყოველ ოც რიცხვში იღებდა ოც-და-ხუთ მანეთს და ამით იხატებოდა იმისი ცხოვრება? „კანცელარიაში“ დაცინვა, კილვა და შტერა, შინ კიდევ მარტოობა არჩობდა“. დიახ, „მარტოობა“ და ხომ იცით, რომ „ძნელი არის მარტოობა სულისა!“... ახლა კიდევ არ შეიბრალებთ ტიტიკოს, როცა შეიტყეთ, რომ იმას, ბარათაშვილსავით „მარტოობა არჩობდა?“ დიახ, ბარათაშვილსავით, რომლის ბედსაც ასე ძალიან ჰგავს ტიტიკოს ბედი, რადგან ესეც იმასავით იძულებული იყო „კანცელარიაში“ ემსახურნა...

მაგრამ, მართლა, ის-კი დამავიწყდა, რომ ავტორს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ტიტიკო, რომ გვცოდნოდა, შეეფერებოდა თუ არა იმისს ნიჭსა და გონიერებას „კანცელარიაში ჯდომა! ალბად შეეფერებოდა, რადგან, შეირთო თუ არა საყვარელი ბათო ცოლად, სრულიად გამოიცვალა და სრულ ბედნიერად ჰგრძნობდა თავს იმავე „კანცელარიაში“. ხოლო მის მიერ ბათოს ცოლად შერთვა-კი აი რა ვოდევილურად მოხდა: „კანცელარიაში“ კილვა-დაცინვისა და შინ კიდევ „მარტოობისაგან“ თავ-მობეზრებულმა ტიტიკომ ერთს მშვენიერს დღეს განიზრახა თავის მოკვლა და აღსრულებაში მოსაყვანად შინიდგან მტკვრისკენ გაემგზავრა. სრორედ ამ დროს მეზობლის მოსამსახურე ქალი დაუხვდა წინ და ისეთის თანაგრძნობით შეჰხედა, რომ ტიტიკოს ენა ჩაუვარდა; შესდგა და ადგილიდგან ველარ იძროდა. ქალმა ჩაიარა, იმას კიდევაც ესაქმა და უკანვე მოდიოდა, რომ ტიტიკო ისევ ისე გაშტერებული იქვე იდგა. „ბათო!“ წამოიძახა ტიტიკომ, როდესაც ქალი დაუახლოვდა და ორივე ხელები გაუწოდა. — ტიტიკო, რა დაგმართნია?! ალერსით დაეკითხა ბათო და ტიტიკოს გაწვდილ ხელებში თავისი ხელი მოათავსა. ტიტიკომ, რასაკვირველია, მაგრად მოუჭირა ხელი და, როცა ქალმა ხელის განთავისუფლება მოინდომა, შეევედრა:— „ბათო, ნუ მაშვებინებ ხელს, ნუ!.. თვით განგებამ მოგავლინა ჩემთან გამოსახსნელად!“ ბათოს სიბრალული აღეძრა და ხელი აღარ განითავისუფლა, რომელსაც „უწყალოდ სრესდა ტიტიკო და ტოკავდა იმის ნიშნად, თითქოს უნდოდა რიღასიც თქმა და კი ვერ უბედავდა...—ბათო, —დაიწყო იმან აკანკალებულის ხმით და ჭარხალივით წამოწითლდა: —შენ... ჰო, შენ ხომ, ვიცი, გასათხოვარი ხარ (ეტყობა, ბათო, მელოსავით 23 წლის ჯერ არ იყო შესრულებული), და მაშ ნუ გამაწბილებ, გამომყევ ცოლად!..“ ბათო, რასაკვირველია, მაშინვე დაეთანხმა (ან-კი რატომ არ დაეთანხმებოდა? რაც უნდა ყოფილიყო, „ჩინოვნიკის ცოლი ჰხდებოდა და მოსამსახურობას არ ერჩია?) და „ორ კვირას არ გაუვლია ამ შემთხვევის შემდეგ, რომ ტიტიკომ და ბათომ ჯვარი დაიწერეს და ქალაქის განაპირას ერთი ოთახი იქირავეს“, სადაც „იწყეს ცხოვრება განდეგილებსავით განმარტოებით, ტკბილად, შეუშფოთებლივ“.

ამ ნაირად, ტიტიკო უცებ გაბედნიერდა და „არად მიაჩნდა ეხლა ამხანაგების დაცინვა, შორიდგან სამსახურში სიარული! სიხარულით, სიმ-

*) იხ. „ივერია“ № 175.

პირუტყვთა სამკურნალოსთან დაარსოს ბაქტერიოლოგიური სადგური ცოფიანის ძაღლისა, მგლისა და სხვათაგან დაკბენილის ცხოველების ასაცრელად.

*** დღეს, 27 აგვისტოს, ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით. წარმოდგენილი იქმნება ავ. ცაგარლის პიესა „ციმბირელი“ და მონაწილეობას მიიღებენ ზოგიერთის არტისტების გარდა—სცენის-მოყვარენიც. იმედია, ჩვენი ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს ორიოდე გროშს და უეჭველად დაესწრება ამ წარმოდგენას, მით უმეტეს, რომ იგი ახალგაზდა მოსწავლეთა სასარგებლოდ არის, რომელთა უნუგეშო მდგომარეობა ყველამ კარგად უწყის.

*** ტფილისის ქართველ ხელოსნებს შორის უმრავლესად უფრო ოთხ-ხუთის ხელობის ხალხი მრავლდება, მაგალითებრ: სტალრისა, მეჩექმისა, ზეინკალისა, დურგლისა და სხვა რომელ ხელობათა ხელოსნები ხშირად უსაქმოდაც რჩებიან, ასე რომ ხანდახან ამათში ასობით არიან უსაქმოდ დარჩენილნი. მაგრამ ნათქვამია: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“. ასევე დაემართათ ქართველ ხელოსნებსაც. ამათ ამ უკანასკნელს დროს ხსენებულ ხელობათა გარდა სხვა-და-სხვა ხელობასაც მიაქციეს ყურადღება და სადაც აქამდის სულ უცხოეთიდგან მოსული ხელოსნები ჰმუშაობდნენ, იქ დღეს თითო-ოროლა ქართველ ხელოსნებსაც შეხვდებით. დღეს ქართველ ხელოსნებს შორის ბევრი ჭკვიანი ტეხნიკოსიც მოიპოვება, ქლიბების მკეთებელნი, როიალის შემკეთებელნი, სხვა-და-სხვა მანქანების მკეთებელნიც და თვით საგველ და საწმენდი ჩოთქების მკეთებელთა ხელობამაც კი აიდგა ფეხი ქართველთ შორის. ამ ხელობის მომუშავენი აქამდის სულ უცხო ქვეყნელნი იყვნენ. სწორედ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ქართველ ხელოსნების წარმატება. ასეთ მაგალითს წარმოადგენს ახლად ნასწავლ ქართველ „მეჩოთქის“ გიორგი პავლიაშვილის ქარხანა, რომელიც იარმუკაზედ არის გამართული.

*** გაზ. „ცნ. ფურც.“ სწერს: ცნობილის „დევ-გმირის“ დ. კეზელის საქმე აზნ. შაბურიშვილის მკვლელობის შესახებ, როგორც მკითხველებმა უწყიან გაირჩევა ქ. დუშეთში ენკენისთვის 4-ს ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილების მიერ.

ეხლა, თურმე, ახალი, კიდევ ერთი მეტი, საქმე შემდგარა. შარშან დ. კეზელს ორი ნაჭერი მიწა უყიდნია საშაბუროს გლეხებისაგან, შიო, გიგო, მიხა და სვიმონ ოდიშელიძეთაგან. შეუკრავთ ნოტარიული პირობა და ზედ ექვსი თუმანი მიუცია, ხოლო კიდევ ოთხი თუმანი უნდა მიეცა ენკენისთვის 21-ში, წინაალმდეგ შემთხვევაში ჯარიმა უნდა გადაეხადა ოც-და-ათი თუმანი; ხოლო თუ გლეხები უარს იტყოდნენ, გლეხებს უნდა ეზღოთ ეს ჯარიმა დ. კეზელისათვის. დაპირებულს ვადაზედ გლეხებს რაკი ფული არ მიუღიათ კეზელისაგან, პირობა დარღვეულად უცვნიათ, ჯარიმას არ გამოჰკიდებიან და მიწის გაყიდვა მოუნდომებიათ. ამ დროს გლეხების მიწა დ. კეზელს შეუკრავს, გლეხებს, რა თქმა უნდა, გაჰკვირვებიათ ეს ამბავი და საქმის გამოსარკვევად მიუმართავთ სასამართლოსათვის, სადაც მათთვის უთქვამთ: პირობა, კეზელს-კი არა, თქვენ დაგირღვევიათ, რადგან ოთხი თუმანი უკვე მიგიღიათ კეზელისაგანო, ამიტომ მიწაც კეზელს ეკუთვნის და ზედ მეტი სამასი მანათი ჯარიმა უნდა გადაიხადოთ კეზელის სასარგებლოდაო.

გლეხები გაოცებულან: ჩვენ, ოთხი თუმანი-კი არა, ოთხი გროშიც არ მიგვიღია კეზელისაგანო. როგორ არ მიგიღიათ, როდესაც პირობაზედ ხელი გიწერიათ, რომ 40 მ. მივიღეთო. არა, ბატონო, ჩვენ პირობა თვალითაც არ გვინახავს, პირობა ჩვენცა გვაქვს და შიგ არა გვიწერია-რა ხვედრი 40 მან. მიღებაზეო. ეხლა ალახმა უწყის, ვინ არის მართალი. გლეხებს უთხოვნიათ, საქმე გამომძიებელს გადაეცით, დეე გამოიკვლიოს და ჩვენი ალალ-სიმართლე დაამტკიცოსო. ეს ახალი საქმეც დანიშნულია ენკენისთვის 22-ს და ვნახოთ, რით გათავდება ეს „საქმეო“.

*** გაზეთ „Новое Обозрѣніе“-ს ქ. ბათუმიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ აგარაკ მახინჯაურში სასტიკად დაუტანჯიათ ბოროტ-მომქმედთ პატარა ბავშვი—ტრაპიზონელ ვაჭრის ჩილინგარიანის შვილი. ხმა დადის, რომ ასეთი საქციელი ბოროტ-მომქმედთ შურის-საძიებლად ჩაიდინესო.

*** სად. სემენოვკა. 22 აგვისტოს, საღამოთი, სად. სემენოვკიდგან ოთხის ვერსის მოშორებით, დილიჟანის ტყეში, შემდეგი ამბავი მოხდა. დილიჟნიდგან ერევანში მიმავალს ვადიანს ომნიბუსს ვიღაცა შეიარაღებული თათრები დაუხვდნენ წინ და ომნიბუსი გააჩერეს. თათრებმა მგზავრებს მაშინვე ფული მოსთხოვეს. მგზავრთა შორის ერთი სომხის მღვდელიც იყო. მღვდელმა მაშინვე მისცა 70 მან-ფული და სთხოვა ნურავისრას დაუშავებთო. თათრებმაც შეჰფიცეს ყველაფერი მოგვეცით და მოკვლით არავის მოვკლავთო. ამის შემდეგ თათრებმა მგზავრების გაწმენდა-გასუფთავებას მიჰყვეს ხელი და ვისაც-კი ფული, ან ძვირფასი ნივთები და ხეირიანი ტანისამოსი ჰქონდა, ყველა გაძარცვეს. ამ თათრების გარდა, გზის ორთავ მხარეს სხვა შეიარაღებული თათრები ისხდნენ ჩასაფრებულნი და თოფებით ხელში შეჰყურებდნენ მგზავრებს, აცა რომელი ამათგანი დაიწყებს წინააღმდეგობას, რომ სული გავაფრთხობინოთო. სულ 25 კაცი იყო, ამ დროს ერთი ომნიბუსი და ორი ფოსტის ეტლი კიდევ მოვიდა ერევნიდგან. ყაჩაღებმა ესენიც დაძარცვეს მეეტლე-კონდუქტორებიანათ. მგზავრი სულ 24 სული იყო. ძვირფას ნივთებისა და ტანთ-საცმელის გარდა ყაჩაღებმა 1,500 მან. ფულად შეჰკრიბეს და არხეინად გაუდგნენ გზასა. მგზავრთაგანი არავინ არ დაუჭრიათ და არ მოუკლავთ. მალე შემდეგ ახალის ბაიაზეთისა და ყაზახის ბოქაულებს შეატყობინეს, მაგრამ ამ დროს ყაჩაღების ხსენებაც-კი აღარსად იყო იმ არე-მარეში. ვინ იცის, საით და სად გაჰქრნენ. ერთობ აქეთ დიდი შიშიანობაა და ხალხს გარეთ ფეხი ვერ გამოუდგამს. ნეტავი-კი ადგილობრივი და კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია რაიმე ნამდვილს საშუალებას იღონებდეს და ამ თამამს ვაჟბატონებს თავს მალე აუკრავდეს, თორემ, თქვენს მტერს, რომ აქაურებს დღეს დააყენებენ.

*** 24 აგვისტოს, ორთაჭალაში ტფილისის მცხოვრებელი ბაღდან ყარახანოვი 28 წლისა, თევზაობის დროს ნავიდგან გადავარდა მტკვარში და დაირჩო. დამრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

*** 25 აგვისტოს, საღამოს 9 საათ. პატარა-ტალახის ქუჩაზედ ერთი უცნობი თათარი მივიდა ნუხის მცხოვრებელის ხატაბატის სადგომთან და როდესაც ამ უკანასკნელმა კარები გააღო, თათარმა რევოლვერი ესროლა მუცელში და მძიმედ დასჭრა. დაშავებული მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო უცნობი თათარი სადღაც გაიპარა, რომელიც შემდეგ მეხუთე ნაწილის ბოქაულმა შადინოვის ქარვასლაში შეიპყრო. დამნაშავე ნუხის მაზრის სოფ. აღდალის მცხოვრებელი, 17 წლის კაცი, გვარად ზამან-ბეი მუსტაფა-ბეი ფატანბეგოვი აღმოჩნდა. გამოძიება სწარმოებს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ბაკურციხე**, (სიღნაღის მაზრა). სიღნაღის მაზრაში სოფელი ბაკურციხე ერთი საუკეთესო სოფელთაგანია თავისის გეოგრაფიულის მდებარეობით, როგორც შუაგული მაზრასა და შემაერთებელი გზებისა: ტფილისისა, ნუხა-ზაქათალისა, სიღნაღისა და თელავისა, სადაც არის სადგური აქ საზოგადო გზებისა. 15 აგვისტოდგან აქ გადმოაქვთ საავადმყოფო თავისის აფთიაქით, გარდა ამისა არსებობს კერძო აფთიაქი, მუდმივი ბინაა ადმინისტრაციისა, ბოქაულისა, არსდება ფოსტა-ტელეგრაფის სადგური; შემკულია საუკეთესო ვენახებით, მინდვრებით, წყლით და წისქვილებით. ბაკურციხეში თავადიშვილების გარდა, გლეხი სცხოვრობს 250 კომლი. ამ სოფლიდგან სამის ვერსის მოშორებით იმყოფება სოფელი კარდანახი, სადაც სცხოვრობს 700 კომლი გლეხი და ორს ვერსზედ სოფელი კოლაგი, 150 კომლი გლეხით. აქვე 4—7 ვერსის სიშორეზედ არიან სოფლები: ჩალაუბანი—100 კომლი, ვეჯინი—350 კომლი, გურჯაანი—800 კომლი და სხვ. ბაკურციხეს ყველაფერში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს სიღნაღის მაზრაში, გარდა სწავლა-განათლებისა, რომელშიაც სხვა სოფლებს ჩამორჩით და დღემდის უბრალო მოსამზადებელი სკოლაც-კი ვერ დაგვიარსებია. ცუდი ბედი სდე·

ღერით და სტვენით მიდიოდა და მოდიოდა სამსახურში; იქაც ხალისით სწერდა, სწერდა და სწერდა. სახლში რომ მოვიდოდა, მაშინ ხომ ნამეტნავად, როდესაც ბათო კარებში მიეგებებოდა და ეტყოდა: „გენაცვა, პური ხომ არ მოგშივდაო“, აღარ იცოდა, მეშვიდე ცაში იყო, თუ დედა-მიწაზედ, ცხადლივ იყო ყოველივე ეს, თუ სიზმარში.“ სასაცილოა განა მკითხველო, ჩვენი „წარსულისაგან თავ-მოძულებული და ცხოვრების ტანჯვად მიმჩნევი“ გმირი? დალოცვილს, თუ ჯვარის დაწერა ასე გაბედნიერებდა, მანამდე სად იყო? განა იგივე „მეზობლის მოსამსახურე ქალი“ ბათო გვერდით არა ჰყავდა?.. მაგრამ დავანებოთ თავი ტიტიკოს სისულელეს და დავუბრუნდეთ ისევ მოთხრობის განგრძობას.

ორის წლის ბედნიერების შემდეგ ჩვენი გმირი ისევ გაუბედურდა, რადგან ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოაცალა საყვარელი არსება და აი ტიტიკოც „მუხლმოდრეკით უზის ბათოს გვამს გვერდით და სტირის! „მაგრამ ტიტიკო მაინც სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა. ის ფიქრობდა: მარტოკა არ დავრჩები. ბათოს სახელის თაყვანისცემით ავავსებ ჩემს ცხოვრებას, იმას ვილოცავ, ვიდრემდის მეც არ გავემგზავრები იმისკენ-ო. ამ დროს კარზე დაუკაკუნეს და თუმცა „ღამის მეცხრე ჟამი იყო“, როცა ტიტიკომ კარი გააღო, მოსულმა ბათო იკითხა, რომელთანაც წერილი ჰქონდა. ტიტიკომ გამოართვა წერილი და ცოტა ფიქრის შემდეგ წაიკითხა იგი. წაიკითხა და... წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა აღმოჩნდა, რომ ეს წერილი ბათოს საყვარლისგან ყოფილა. დიახ ბათოს საყვარელი ჰყოლია, ვიღაც ვახტანგი, რომლისთვისაც კვირაში ორი დღე დაუნიშნავს შესახვედრად და უკანასკნელ კვირაში რაკი ბათო ავათმყოფობის გამო ვეღარ წავიდა, იმანაც საყვედურის წერილი გამოუგზავნა და აი ეს წერილი ჩაუვარდა ხელში ტიტიკოს. წერილში, სხვათა შორის, ისიც ეწერა, რომ წარსულს კვირას კარგი დრო გაატარეს შეყვარებულებმა... მართლა, ჩემო გვრიტო, ხომ არ გაცივდი? საშინელი ქარიშხალი იყო, როცა შინ დაბრუნდი და იქნება ავად გახდი და ამის მიზეზით დანიშნულს დროს ვეღარ მოხვედი. ღმერთმა ნუ ჰქნას!.. მინდოდა დღეს მევე წამოვსულიყავ შენთან და შემეტყო შენი გარემოება, მაგრამ ვეღარ გავბედე, იქნება შენი ქმარი შინ იყოს მეთქი, ვიფიქრე და ამის მიზეზით ისევ წერილის მოწერა ვარჩიე. როგორც შენ მითხარ, წერილებს შენი ქმარი არ კითხულობს და ამ წერილის მიღების დროს რომ შინ იყვეს შენი ქმარი, მგონი არა დაშავდებარა... ხვალ უსათუოდ მოგელი... მარად შენი ვახტანგი, ჩაიკითხა ბოლომდის ტიტიკომ „ააააჰ!“-ო, წამოიძახა და „გულზე ხელი იტაცა. კანკალმა და თახთახმა აიტანა იგი. თითები უნებურად ეკვლანჭებოდა, და ტანისამოსს იგლეჯდა..—ააააჰ... უფრო საზარლად წამოიძახა და... მაგრამ დე, რამდენიც უნდა იძახოს ტიტიკომ: „ააააჰ“-ო, ჩვენ ის არ შეგვებრალება. არ შეგვებრალება ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასე ვოდევილურად დაწყებული ბედნიერება, აშკარა იყო დიდხანს ვერ გასტანდა.

მაგრამ ტიტიკოსკენ და საზოგადოთ მთელი იმ ეტიუდისკენ, რომლის გმირიც ის არის, არ იწევს ჩვენი გული კიდევ იმიტომ, რომ ეს ეტიუდი სრულიად არ შეესაბამება ჩვენს ცხოვრებას და წარმოადგენს უცხო ქვეყნის ხილს ჩვენს ნიადაგზედ ნაძალადევად გადმორგულს. ამიტომაც თავიდან ბოლომდე ეტიუდი უხერხულად არის შეკოწიწებული და პირველ ხელის მიკარებაზედ იშლება და ირღვევა, როგორც ბავ შისგან აკოკოლავებული ხუხულა... ძნელად წარმოსადგენია, მაგალითად, რომ ერთ ქალაქში მცხოვრებმა შეყვარებულებმა, როცა ერთი მათგანი სხვას ეკუთვნის კიდეც, ისე ხშირად უგზავნონ ერთმანეთს წერილები, როგორც ვახტანგი ბათოს უგზავნიდა, და ნამეტნავად იმისთანა უდროვო დროს და ისე უხერხულად, როგორც უკანასკნელი წერილი იყო გამოგზავნილი.. ერთის სიტყვით, ყველაფერი ამ ეტიუდში ცხოვრების შეუსაბამოა, უხერხულია და ნაძალადევად მიკონკილ-მოკონკილი. რასაკვირველია, ჩვენშიაც ჰღალატობენ ცოლები ქმრებს, ჩვენშიაც არიან მოხერხებულნი ქალები და სულელი კაცები, მაგრამ ეს ღალატი ყოველთვის უფრო მარტივია, უფრო სადაა და უბრალო ვიდრე მოთხრობილი ბ-ნ არაგვისპირელის ეტიუდში.

ბ-ნ არაგვისპირელს-კი ეკუთვნის ამ ეტიუდის შინაარსი?.. არა, იგი სავსებით გადმოღებულია ცნობილ გიუ დე მოპასანის ერთის მოთხრობიდგან. გიუ დე-მოპასანს ბევრი მოთხრობა აქვს ასეთის შინარსისა, ხოლო ერთი მისი მოთხრობა, სამწუხაროდ სახელი აღარ მახსოვს, სრული მგზავსებაა ბ-ნ არაგვისპირელის ეტიუდისა დ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იგი უფრო ხელოვნურად არის დაწერილი;მისი შინაარსი უფრო ბუნებრივია და იქვს არა ჰბადავს არაფერში. აი, მოკლედ თვით იმ მოთხრობის შინაარსი: ახალგაზდა კაცს მოუკვდება საყვარელი ცოლი და დიდის გლოვის შემდეგ დაჰმარხავს. როცა შინ დაბრუნდება, უნდა მხოლოდ ახლად მიცვალებულზედ იფიქროს, მხოლოდ მისის სახელის თაყვანისცემით აავსოს თავისი ცხოვრება, როგორც ეს სურს აგრეთვე ტიტიკოსაც, და ამიტომ დაუწყებს თვალიერებას ცოლის ნივთებს. ნივთების თვალიერების დროს წააწყდება მშვენიერად შეხვეულ წერილების გროვას, რომელსაც დიდის სიფრთხილით ინახავდა ყოველთვის მისი ცოლი. მოყვარულ ქმარს სჯერა, რომ ეს წერილები ცოლის ამხანაგ ქალისაგან არისო, და შეუდგება იმათს კითხვას, რომ რამდენიმე წამი გაატაროს თავისს დაკარგულ ცოლთან და დასტკბეს საყვარელ ამხანაგისაგან იმასთან მოწერილ წერილების კითხვით. დაიწყებს კითხვას და, წარმოიდგინეთ მისი განკვირვება, როცა ჰნახავს, რომ ეს წერილები ამხანაგ ქალისაგან-კი არა, არამედ საყვარელ კაცისგან არის მოწერილი! ამნაირად, ცოლს თვალთ-მაქცურად უტყუებია ქმარი (პარიჟელ ქალს, რასაკვირველია, შეშვენის ის, რასაც ჩვენებური მოსამსახურედ ნამყოფი ქალი თავისს დღეში ვერ მოახერხებდა!) და საყვარელი ჰყოლია. როგორც მახსოვს, გიუ დე-მოპასანის გმირი ქალიც სწორეთ იმისთვის ჰკვდება, რომ უკანასკნელ „რანდევუ“-ს დროს თავის საყვარელთან ცივდება, რადგან ცუდი ტაროსი იყო და ის-კი ერთობ მსუბუქად გახლდათ გამოწყობილი. აი, ბატონებო, შინაარსი გიუ დე-მოპასანის მოთხრობისა. შეადარეთ იგი, თუნდაც ამ ჩემ მშრალ ნაამბობით ბ ნ არაგვისპირელის ეტიუდს და თვითონვე ბრძანეთ, მართალი ვარ თუ არა, როცა ვამბობ, იგი არ არის ჩვენის ცხოვრებიდგან აღებული-მეთქი?..

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნის სკოლის დაარსების საქმეში ჩვენს სოფელს. იყო დრო, როდესაც ერთმა პატივცემულმა კაცმა მოისურვა შეეწირა სკოლისათვის მამული და ფულითაც დახმარება აღმოეჩინა, სოფლის საზოგადოებამ კიდევ განაჩენი დაადგინა, რომლის ძალითაც მასწავლებლის ჯამაგირს სოფელი კისრულობდა, მაგრამ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" ვერ მოიყვანა აღსრულებაში ეს საქმე სხვა და-სხვა მიზეზებით... მას შემდეგ თითქმის რვა წელიწადი ჩაჩუმდა სკოლის საქმე.

წელს სამრევლო საეპარქიო სასწავლებლების საბჭოს გთხოვეთ, მეორე კლასიანი სკოლა, პედაგოგიურის და სამეურნეო განყოფილებით დაეარსებინა ჩვენს სოფელ ბაკურციხეში. წარავდგინეთ კიდეც თავადიშვილებისა და სოფლის საზოგადოების განაჩენები, პირველი იმის შესახებ, რომ უფასოდ სკოლას ოთხს დესეტინას საუკეთესო მამულს უთმობდნენ, ხოლო მეორე იმის შესახებ, რომ საზოგადოება კისრულობდა რაც მასალა მოუნდებოდა სკოლის აშენებას თავიანთ ხარჯით შეეძინათ და მოეზიდნათ, მიეცათ აგრეთვე სკოლისთვის შეშა და დაენიშნა დარაჯი. ამ საქმისათვის მობრძანდა მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე, მღვდელი მირიანაშვილი და მთხოვა მომეწვიენა ისინი, ვინც მამულის შეწირვის თანხმობა განაცხადა; მეც მოვიწვიე ბაკურციხის და სოფელ კოლაგის თავადიშვილები, რომელთაც განაცხადეს, რომ ოთხი დესეტინის მაგიერ 16 დესეტინა საუკეთესო მამულს შევწირავთ სკოლას, თუ ბაკურციხეში დააარსებენო. მეთვალყურემ ნახა ადგილობრივ მამული და დიდი კმაყოფილი წავიდა. ამის შემდეგ სრული იმედი გვქონდა, რომ ჩვენი მეცადინეობა ტყუილად არ ჩაივლიდა და ჩვენს სოფელში უეჭველად სკოლა დაარსდებოდა, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იმედი არ გაგვიმართლდა და სკოლის დაარსებას, მგონი, ჯერ ეგრე მალე ვერ კვეღირსებით. საქმე ის არის, რომ როდესაც ტფილისის გუბერნიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი ტატიშვილი მობრძანდა ქიზიყში და ეგრედ წოდებული სამაზრო კრება მოახდინა, ჩვენ ბაკურციხელებს არაფერი არ გაგვიგია და მხოლოდ შემდეგ შევიტყეთ, რომ კრებას გადაუწყვეტია კიდეც სოფელ ფანიანში დაარსოს მეორე კლასიანი სკოლა. მე ფანიანი არ მინახავს და ვინდაც-კი ვკითხე თავადს თუ გლეხს – ამ სოფლის ქება არავისგან გამიგია, მხოლოდ ეხლა გაზეთებიდგან შევიტყე, რომ იგი კრებას ძალიან მოსწონებია და იმიტომ ამოურჩევია სასკოლო ადგილად. მე იმის წინააღმდეგი არა ვარ, რომ რომელსამე სოფელში სკოლა დაარსდეს, პირიქით სკოლა აუცილებლად საჭიროა, როგორც ფანიანისთვის, აგრეთვე ყველა სხვა სოფლისათვის; მხოლოდ ამ გვარი სკოლა — სამეურნეო და პედაგოგიურის განყოფილებით, საშუალო და ყველასათვის ადვილად მისასვლელ ადგილას უნდა იყოს და არა სადმე გადაკარგულ სოფელში. გარდა ამისა, საჭიროა მიღებულ იქმნას მხედველობაში ისიც, რომ მამულის ნიადაგი საუკეთესო და გამოსადეგი იყოს, რადგანაც განზრახულია სკოლასთან სამეურნეო განყოფილებაც დაარსდეს. აქ მარტო ფანიანი და ბაკურციხე-კი არ უნდა იყოს სალაპარაკო, არამედ მთელი სიღნაღის მაზრა.

სოფ. ფანიანი სულ მაზრის განაპირას, შირაქისკენ მდებარეობს და ზემო აწერილი სოფლებიდგან 40—55 ვერსზეა მოშორებული, ბაკურციხე-კი შუა ადგაის მაზრისა, როგორც ფანიანისათვის აგრეთვე სხვა სოფლებისათვის და გზებიც საუკეთესო აქვს. სამი დესეტინის მაგიერ ჩვენმა სოფელმა 16 დესეტინა საუკეთესო სავენახე და სახნავი მამული და სკოლისათვის საჭირო მასალა აღუთქვეს, მაგრამ არც ამან და არც ჩვენმა მეცადინეობამ არავითარი ყურადღება არ დაიმსახურა და ბ-ნი გუბერნიის სკოლების მეთვალყურე მობრძანდა ჩვენმიერ აღთქმულ მამულების დასათვალიერებლად, მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე გადაეწყვიტეს ფანიანში სკოლის დაარსება. ვისურვებ, რომ ამ სკოლამ ფანიანის საზოგადოებას მაინც მოუტანოს შესამჩნევი სარგებლობა, თორემ სხვა სოფლებს არაფრად გამოადგება იგი სიშორისა გამო. ბაკურციხელებს-კი იმის მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ უცადოთ სხვა შემთხვევას, ეგებ როდისმე ჩვენც გაგვიღიმოს ბედმა და გამოჩნდეს მადლიანი კაცი, რომ განახორციელოს ჩვენი გულითადი სურვილი და გვაღირსოს თუ მეორე კლასიანი არა, ერთ კლასიანი სკოლა მაინც.

დავით ჩოლოყაშვილი

1897 წ. 20 მკათათვე.

## საუფლისწულო მამულების მმართველობის საქმე და მოვალეობა კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზედ რომ გაივლის მგზავრი სურამიდგან მოყოლებული ბათუმამდე მრავალი საუცხოვო სურათი შეჰხვდება გზაში, მაგრამ იმ კუთხეზედ საუცხოვო-კი არა არის რა, რომელიც ბათუმის სიახლოვეს მდებარებს. ამ ადგილს თვით ბედმა არგუნა მეტად დიდი მნიშვნელობა იქონიოს მთელს კავკასიაში. ეს ადგილი წარმოადგენს პატარ-პატარა გორაკებს, რომლებიც დაყოფილია აჩქუა, ჩაქვის-წყალით, კორონის წყალით და სხვა პატარა მდინარეებით. აქ არის გაშენებული სოფლები: ჩაქვა, მახინჯაური და სალიბაური. ეს ადგილი შემკულია მრავალგვარ საუცხოვო მცენარეობით, რომელიც სამხრეთის ქვეყნებში ჰხარობს. ამ ადგილს გარს არტყია აჭარის მთები (4—5 ათასი ფუტის სიმაღლე) აქვე არის საკმაოდ მაღალი მთები კორონის თავი, ჩაყვის-თავი და სხვ. ეს მთები იფარავენ ამ ადგილს ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარებისაგან.

ამ ადგილს, ბუნების მიერ უხვად დასაჩუქრებულს, დიდის იმედით შესცქერის ყველა, ვინც-კი ჰფიქრობს, რომ საქართველოსთვის ოდესმე კარგი დღეები დადგებაო და ოდესმე მდიდარი მხარე ქუთაისისა და აწ გაღარიბებული და გაღატაკებული, კიდევ აყვავდება და აღორძინდებაო. აქ, ამ ადგილას, გაშენებულია ჩაის ბუჩქები და ამ საქმემ უეჭველად წინ უნდა წასწიოს ამ ადგილის ეკონომიური ვითარება', რასაც დიდი მნიშვნელობა ექმნება არა თუ ამ ადგილისათვის, არამედ მთელის რუსეთის სახელმწიფოსათვის.

ჩაის გაშენება კავკასიაში ჯერ ისევ 1847 წელს განიზრახა კავკასიის მმართველმა თავადმა ვარანცოვმა. მისის ბრძანებით რამდენიმე ბუჩქი მოიტანეს ჩაისა ნიკიტას საიმპერატორო ბაღიდგან და ჩარგეს ერთს ალაგას ოზურგეთის მაზრაში. ბუჩქებმა იხეირა. ამავე დროს ჩაის ბუჩქები ჩარგეს სოხუმის საბოტანიკო ბაღში და იქაც მშვენივრად იხეირა. მე 50 წლებში რამდენიმე ბუჩქი ჩაისა ოზურგეთის მაზრიდგან გადიტანეს თავ. ერისთავის ბაღში, ჩოხატაურის მახლობლად; აქაც იხეირა და 60 წლებში თავ. ერისთავმა საკმაოდ მოკრიფა ჩაი, მაგრამ, რადგანაც მისი მოვლა და კეთება არ იცოდნენ, ძლიერ ცუდი გამოდგა. სხვაგანაც ბევრგან ჩარგეს ჩაის ბუჩქები შავის ზღვის ნაპირას მდებარე ალაგას და ყველგან ცოტად თუ ბევრად კარგად იხეირა. ხოლო 1885 წელს ჩაქვის მემამულემ ა. სოლოვცოვმა (წელს გარდაცვალი) მტკიცე ნიადაგზედ დაამყარა ჩაის გაშენების საქმე და ამ საქმისათვის დიდაც ბევრი იშრომა. ბ-ნმა სოლოვცოვმა ჩინეთიდგან მოიტანა რამდენიმე ბუჩქი ჩაისა და მთელი პლანტაცია გააშენა. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი ჩაი მოვიდა, რომ ზოგიერთმა მოსკოვის ვაჭრებმა ძლიერ მოიწონეს და სთქვეს ჩინეთის საუკეთესო ჩაის არ ჩამოუვარდებაო.

ბ-ნს სოლოვცოვს მიჰბაძეს კ. ს. პაპოვის ფირმამ და საუფლისწულო მამულების მმართველობამ.

საუფლისწულო მამულების მმართველობამ ჩაის გაშენების საქმეს ფულის მოსაგებად-კი არ მოჰკიდა ხელი, მას სურს დაუმტკიცოს ადგილობრივს მცხოვრებლებს, რომ ჩაის გაშენება ხელ-საყრელი და სახეირო საქმეა. მმართველობამ შეუკვეთა ბ-ნს სოლოვცოვს გაეშენებინა 120 ათასი ბუჩქი ჩაისა და თვით ჩაის მოყვანისა და კეთების შესასწავლად გაჰგზავნა მთელი ექსპედიცია ბ-ნ ი. კლინგენის მეთაურობით ინდოეთსა, ცეილონის კუნძულსა, იაპონიასა და ჩინეთში.

ამ ექსპედიციამ 1895 წელს საუცხოვოდ შეასრულა თავისი საქმე, შეაგროვა მთელი კოლექცია სხვა-და-სხვა ხარისხის ჩაისა და ჩაჰყარა ჩაქვის პლანტაციებში. ამ ჟამად საუფლისწულო მამულში იმ 120 ათას ბუჩქის გარდა, რომელიც განსვენებულმა სოლოვცოვმა გააშენა, კიდევ 300 ათასი ბუჩქი სხვა-და-სხვა ხარისხის ჩაია გაშენებული. ამათში 6,000 ბუჩქი ჩინეთიდგან არის მოტანილი და დანარჩენი სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან.

რადგანაც ზოგი ბუჩქი 1895 წელს იყო ჩაყრილი, ამიტომ ჩაის მოკრეფა წელსვე შეიძლებოდა, მაგრამ, აკი მოგახსენეთ, საუფლისწულო მამულების მმართველობას აზრად ფულის მოგება არა აქვს და ამიტომ გადასწყვიტა 1899 წლამდე დავიცადოთ, და მაშინ მოვკრიფოთო.

ზემოხსენებულმა ექსპედიციამვე მოიყვანა აქ 20 მცოდნე კაცი იაპონიიდგანა და ჩინეთიდგან. ამ მცოდნე კაცებს ეხმარებიან ადგილობრივნი მცხოვრებნი და მხნედ მუშაობენ ჩაის პლანტაციებში აგრონომისა და ნასწავლ მებაღეების მეთაურობით.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

ამ მომავალს სააკადემიო წელს ს.-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტს ლექციების მკითხველად 22 დამსახურებული ორდინ. პროფესორი, 96 პრივატ-დოცენტი, 15 ექსტრაორდინარ. პროფესორი, 30 ორდინ. პროფესორი და 9 ლექტორი ეყოლება. ამ რიგად ამ წელს სულ 112 კაცია მთელს უნივერსიტეტში ლექციების მკითხველად და 6 კაცით მეტით, ვიდრე შარშან; ლაბორანტებითა და კაბინეთების გამგეებით-კი რომ ვიანგარიშოთ, სულ 220 კაცია.

— ფ. ნანსენის ავადმყოფობისა გამო მისი მოხსენება უკიდურესს ჩრდილოეთში მოგზაურობის შესახებ გეოლოგოსთა საერთაშორისო მე-VII კონგრესის სხდომებზედ წაკითხული აღარ იქმნება და ვეღარც მონაწილეობას მიიღებს იგი კონგრესის მუშაობაში. ბ-ნის ნანსენის პეტერბურგში ჩამოსვლაც განუსაზღვრელის დროით გადადებულია.

— ამ მომავალს წელს ს.-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში იურიდიულს ფაკულტეტზედ შემდეგ არა სავალდებულო საგნების შესახებ იქნება წაკითხული ლექციები: პრივატ დოცენტი ბ-ნი ტიმოფეევი წაიკითხავს ლექციებს „სასამართლო მჭევრ-მეტყველების ისტორიის" შესახებ, პრივატ-დოცენტი ბ ნი სუდეიკინი—„პოლიტიკურ ეკონომიის ისტორიის" შესახებ, პრივატ-დოცენტი ლ. ი. პეტრაჟიცკი—„სამოქალაქო უფლების პოლიტიკის" შესახებ, პრივატ დოცენტი ბ-ნი ადამოვიჩი—„სავაჭრო გემების გაუმჯობესების" შესახებ და პრივატ დოცენტი ბ-ნი კალინკა—„რუსეთის სამოქალაქო უფლების კანონთა კრებულისა და მის საკითხთა" შესახებ. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზედ წაიკითხავენ: პროფესორი ნ. გ. თარხნიშვილი—„ცხოველთა და ადამიანის ნერვიული ფიზოლოგია"-ს შესახებ, პრივატ-დოცენტი ბ-ნი ბროუნოვი—„სინათლისა და ელექტრონის მოვლენანი ჰაერში" შესახებ, პროფესორი დ. პ. კონსვალოვი—„შერეულ სითხეთა" შესახებ და პრივატ-დოცენტი ბ-ნი კისტიაკოვსკი—„ელექტრო-ქიმიის" შესახებ. საისტორიო საფილოლოგო ფაკულტეტზედ წაიკითხავენ: პრივატ-დოცენტი ლანგე—„დრამის ისტორიის" შესახებ, პრივატ-დოცენტი ბ-ნი ტურაევი—„ეგვიპტის შესახებ", პროფესორი პ. ვ. ნიკიტინი—„ძველ ბერძენთა დიალექტების" შესახებ და პროფ. ბ-ნი სოკოლოვი—„საბერძნეთის სახელმწიფოს სიძველეთა" შესახებ.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს ყოველწლიურად 6,000 მან. გამოითხოვოს დედათა სახელოსნო სასწავლებლისათვის დასახმარებლად.

— ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში სწავლა 1-ლ სექტემბრიდგან დაიწყება. ლექციების მოსასმენად სტუდენტებს 23 აგვისტოდგან შეეძლებათ საუნივერსიტეტო ჟურნალში ჩაწერა.

— პეტერბურგის ღარიბ მცხოვრებთა შორის დასარიგებლად საფრანგეთის პრეზიდენტს ფორს 25,000 მან. შეუწირავს.

— პარიზის მომავალ 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების გასამართველად სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენლებად უმაღლესად დამტკიცებულს კომისიაში დანიშნულნი არიან ს. ნ. ლენინი და ი. ს. ლებედკინი.

## უცხოეთი

**ოსმალეთ-საბერძნეთის ზავი.** კარგა ხანია ელჩებსა და თევთიქ ფაშას კრება აღარა ჰქონიათ თოფხანეში ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამის მიზეზი ერთის მხრით თვით საბერძნეთია, მეორეს მხრით კი ინგლისი. საბერძნეთმა უარი განაცხადა, რომ იმის ფინანსებს კონტროლი დაენიშნოს და უამისოდ-კი ელჩებმა არ იციან, როგორ გადასწყვიტონ საქმე. ეს კიდევ არაფერი. ევროპის სახელმწიფონი საბერძნეთის სურვილსა და ნებას მაგდენ ყურადღებას არ მიაქცევდნენ და ზავს უეჭველად დასდებდნენ, რომ ინგლისი არ ახირებულიყო და ევროპის „კონცერტი" განზედ არ გასდგომოდა. ინგლისის მთავრობამ არ მიიღო ელჩების გარდაწყვეტილება ოსმალეთის ჯარის მიერ თესალიის განთავისუფლების შესახებ და აი სწორედ ამ გარემოების წყალობით ზავის შესახებ მოლაპარაკება შეჩერებულ იქმნა. თუმცა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს გაზეთები და დეპეშები იუწყებიან, რომ დიპლომატიურის მოლაპარაკების საშვალებით სახელმწიფონი ერთმანეთში მალე შეთანხმდებიან და მოლაპარაკება ხელახლა დაიწყება თოფხანეში. გაზ. „Daily Telegraph"-ის სიტყვით საფრანგეთი და რუსეთი მზად არიან მიიღონ ინგლისის მთავრობის წინადადება თესალიის განთავისუფლების შესახებ და ამ რიგად დასახელებულ სახელმწიფოთა შორის მალე ერთობა დამყარდებაო, გარდა ამისა, ამბობს გაზეთი, ამავე სახელმწიფოებს აზრადა აქვთ დაეხმარონ საბერძნეთს სამხედრო ჯილდოს პირველი გარდასახადის გასტუმრებაშიო. იმ სახელმწიფოთ, რომელნიც იკისრებენ საბერძნეთის ფინანსების კანტროლობას, უნდა თავმდებობა გაუწიონ საბერძნეთს სესხის აღების დროსაო. ყველა სახელმწიფონი, დასასრულ ამბობს გაზეთი, მათ შორის გერმანიაც-კი თანხმობას განაცხადებენ ამ წინადადებაზეო. სულ სხვას ამბობს გაზ. „Times„-ი. იმის აზრით, თუ საფრანგეთის მთავრობამ თავმდებობა გაუწია საბერძნეთს სესხის აღების დროს, იგი პარლამენტში საშინელს ოპოზიციას გაიჩენსო. ამის გამო საეჭვოა, რომ საფრანგეთი ოსმალეთ-საბერძნეთის საქმეში გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგ წავიდესო. რაც შეეხება რუსეთს, იგი საფრანგეთს არ უმტყუნებსო. დასასრულ, ამბობს გაზეთი, ჩვენ ეჭვში ვართ, რომ სალიუსბირის წინადადება მიღებულ იქმნას. ამავე აზრისაა ავსტრიის ოფიციალური გაზეთი „Fremdenblatt".

—

**ინდოეთი.** ინგლისურ გაზეთებში ამ ჟამად მრავალი ცნობაა დაბეჭდილი აფრიდიების შესახებ, იმ ხალხისა, რომელთაც აჯანყება მოახდინეს ინდოეთის საზღვარზედ და რამდენიმე ციხე სიმაგრე აიღეს. აი, სხვათა შორის, რას ამბობენ: „აფრიდიები ყველაზედ მამაცი და მასთანავე ყველაზედ ველური ხალხია ინდოეთის სა-

ზღვარზედ. უწინ იმათ დიდი ადგილი ეჭირათ, ხოლო ეხლა ხაიბერის, კოხატის და მირანცეის ველები შეადგენს იმათ სამფლობელოს. აფრიდიები მეტად მოუსვენარი ხალხია. ისინი ან ომსა და ან ძარცვა-გლეჯაში ატარებენ დროს. უწინ აზიაში გაცილებით უფრო საპატიო ადგილი ეჭირათ, ვიდრე ეხლა აქვთ. ისინი ჯერ ჰეროდოტის დროსვე იყვნენ ცნობილნი. წინანდელი აფრიდიები თუმცა მაჰმადიანებად ითვლებიან, მაგრამ, ნამდვილად, არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებენ. აფრიდიები არავითარს პატივს არა სცემენ თავიანს მოლლებს და იმათაც ისე არხეინად გაჰქურდავენ ხოლმე, როგორც ყველა სხვას, ინგლისის ჯარში ისინი ძალიან ხშირად შედიან, მაგრამ მალევე ანებებენ ჯარის-კაცობას თავს, და თავიანთ სოფლებში გარბიან. უმეტეს ნაწილად თოფებიც თან მიაქვთო".

— „Nordd. Allg. Ztg." დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდგან: „ბარტის სიმაგრიდგან აფრიდიების გასარეკად მთელი ჯარი იყო გაგზავნილი, რომელიც ქვეითისა, ცხენოსანის და არტილერიისაგან შესდგებოდა, მაგრამ იძულებული გახდა იგი უკანვე დაბრუნებულიყო, რადგანაც ჯარისკაცნი საშინლად შეწუხდნენ უწყლობით. ამბობენ, რომ ბონერვალიებიც აპირებენ აჯანყებასაო. 7 ათასი კაცი ემზადება ბანაკზედ დასაცემად, მოლლები დერვიშ-ხელიკბსაც შესჩენიან და სცდილობენ ისინიც აალელვონ".

—

**სამხრეთი ამერიკა.** ჩვენ ამას წინ მოხსენებული გვქონდა ურაგვაის პრეზიდენტის ბორდას მოკვლის ამბავი. ეხლა გაზ. „Neue Freie Presse"-ში ამ მკვლელობის შესახებ შემდეგია დაბეჭდილი: „ურაგვაიში ბორდა ყველას ეჯავრებოდა და უკანასკნელის უთანხმოების და არეულობის მიზეზიც ის იყო. 1894 წელს პრეზიდენტის თანამდებობაზედ ბორდა არჩეულ იქმნა მხოლოდ ორის ხმის უმეტესობით. „წითელთა" დასმა მოისურვა იმის არჩევა, რადგანაც იმედი ჰქონდათ იმის პრეზიდენტობის დროს მმართველობას ხელში ჩაიგდებდა და არც მოსტყუვდა. ბორდა და იმის ქვეშევრდომნი ისეთის ზიზღით ეკიდებოდნენ რესპუბლიკის კანონებს და ისე უთავბოლოდ ჰფლანგავდნენ სახელმწიფო ფულს, რომ „თეთრთა" წარმომადგენელთ ვეღარ მოითმინეს და რევოლიუცია მოახდინეს. არეულობა ამა წლის მარტში დაიწყო. რევოლიუციის წარმომადგენელთ, ურაგვაის საუკეთესო ადვოკატებმა და ექიმებმა მანიფესტით მიჰმართეს ხალხს და მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება ურჩიეს. მეამბოხეთა ჯარის წინამძღოლთ, გენერალმა აპაციო სარაივამ და პოლკოვნიკმა დიეგო ლამასმა ომი 450 კაცით დაიწყეს. მაგრამ მალე სხვებიც შეუერთდნენ, ასე რომ ბოლოს დროს იმათი რიცხვი 6,000 კაცამდე ავიდა. ამავე დროს მთავრობის ჯარი 12,000 კაცს შეადგენდა. ამისდა მიუხედავად მეამბოხეთა ჯარმა რამდენჯერმე დაამარცხა მთავრობის მეომარნი. ეხლა ბორდას სიკვდილით უთუოდ მეომარნი დასცხრებიან და უკეთესის პრეზიდენტის არჩევას შეუდგებიან".

## დამაკვირდი

(სერბიის დედოფლის ნატალიასი)

შრომის მოყვარეობა და გამრჯელობა ზოგიერთის დედა-კაცისათვის მარილია სიცოცხლისა.

* * *

გასათხოვარი ქალი ანგელოზია და კაი თუ ეშმაკად იქცა.

* * *

ძლიერ ტანჯული გული უღონოა ბედნიერებისათვის.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. პენსილვანიის შტატის ქალაქ ელდრედში ერთის სასტუმროს პატრონს ნიუფაუნდლენდიის ჯიშის ძაღლი ჰყავდა. ერთხელ სასტუმროს ცეცხლი წაეკიდა. სასტუმროს დარაჯი ამ დროს ჩვეულებისამებრ მთვრალი ყოფილა. ძაღლს ეს დარაჯი თურმე ძლიერა ჰყვარებია, დაინახა თუ არა, სასტუმროს ცეცხლი წაეკიდაო, მივარდა დარაჯს და ყეფით უნდოდა გაეღვიძებინა. რომ ვერაფერს გახდა, დაავლო კბილები და ფრთხილად გამოიტანა ქუჩაში. (ნიუფაუნდლენდის ჯიშის ძაღლი ძლიერ დიდის ტანისაა და ღონიერი). მერე ძაღლი ისევ დაბრუნდა სასტუმროში და იმდენს ხანსა ჰყეფავდა, მანამ ყველანი დაიღვიძა. ამ დროს ერთი ქალი გამორბოდა გარედ, ხელში ბავშვი ეჭირა და შიშისაგან ხელიდგან გაუვარდა. ძაღლი მივარდა ბავშვს წაავლო პირი პერანგში და ფრთხილად გამოიტანა გარედ, შემდეგ ძაღლი ისევ შევიდა ცეცხლ მოკიდებულ სასტუმროში და უნდოდა კიდევ ვინმე გამოეყვანა, მაგრამ ვეღარ გამოაღწია და ცეცხლში დაიწვა.

* * *

ახალი ამბავი არ არის, რომ ამერიკაში ხშირად გადააქვთ ხოლმე მთელი დიდი სახლი ერთის ადგილიდგან მეორე ალაგას. ეხლახან ერთის ადგილიდგან მეორე ალაგას გადაიტანეს ვეებერთელა ოთხ-სართულიანი სასტუმრო. ეხლახანვე ერთი სამ-სართულიანი სახლი ჯერ მატარებლით გადიტანეს ზღვის ნაპირას და მერე ზღვით წაიღეს იქითკენ, სადაც უნდა დაედგათ. საოცარი ის არის, რომ ამერიკელებს ქვის სახლები გადააქვთ და გადმოაქვთ ისე, რომ ერთი აგური არ ჩამოვარდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 აგვისტო.

**ბელოსტოკი.** დილის 9 საათზედ, მათი უდიდებულესობანი დოილიდგან ბელოსტოკში წაბრძანდნენ. ქალაქში მოსვლისათანავე მათი უდიდებულესობანი სობოროში მივიდნენ. გზაზედ სამრევლო სკოლის მოსწავლენი იდგნენ. სობოროში შეიკრიბნენ ქალაქის მანდილოსანნი. მალე აღტაცებულმა „ვაშამ" ყველას აუწყა, რომ მათი უდიდებულესობანი მობრანდებიანო. ზარებს რეკა დაუყეს, რომლის ხმაც ხალხის ძახილს შეუერთდა. როდესაც მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ, თავშესაფარის ბავშვთ მწყობრად იგალობეს: „აცხონე, უფალო, ერი შენი". მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ წმ. ჯვარს და შემდეგ წმ. წყალით იქმნენ სხურებულნი. მოისმინეს რა მოკლე პარაკლისი, მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ სოფ. ბაცეჩკში ალლუმის ადგილას. ხალხმა აღტაცებით გააცილა. ხელმწიფე, შებრძანდა რა ცხენზედ, ამალით ტყისაკენ წავიდა, სადაც ქვეითა რაზმი იყო გამაგრებული. დედოფალი ეტლში ჩაბრძანდა და ხელმწიფეს გაჰყვა. ამ დროს ალლუმი თავდებოდა. გადაუხადა რა მადლობა ჯარს, ხელმწიფე დედოფლიან და საიმპერატორო გვარეულობის წევრებთან ერთად სოფ. ბაჩესკში წაბრძანდა. შუადღის $12^1/_2$ საათსედ მათი უდიდებულესობანი ბელოსტოკში მოვიდნენ და იქიდგან დაილიდში წაბრძანდნენ.

**ლონდონი.** სიმლიდგან დეპეშით ატყობინებენ „Times": აქ დარწმუნდნენ იმაში, რომ ავღანის ემირი ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას არ იღებს. იმან უბრძანა ჯარს დაიწიოს იმ სიმაგრიდგან, რომელნიც ავღანის სამფლობელოს გარეშეა, რომ უფროსებმა მათ თვალყური ადევნონ. ამ შემთხვევაში აფიცრები ადვილად შეამჩნევენ ჯარის კაცების გაპარვას და აღარ გაუშვებენ ინგლისის წინააღმდეგ ომებში მონაწილეობის მისაღებად.

**ვენა.** „პოლიტ. კორ". იწყება, რომ საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა თანხმობა იმისა, რომ როგორც წინანდელი, აგრეთვე ახალი სესხი, იმ შემოსავლით იქმნას დაკმაყოფილებული, რომელსაც საერთაშორისო კანტროლი დაენიშნებაო. საბერძნეთის მთავრობის მიერ ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას ამ დღეებში ელიან.

**ბუდა-პეშტი.** „პოლიტ. კორ". სიტყვით, სახელმწიფოთა შორის გაცხარებული მოლაპარაკებაა კრიტის ჯარისაგან განთავისუფლების ინსტრუქციის შემუშავების შესახებ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

გაზ. „Новое Обоз". 31 ივლისის №-ში იყო დასტამბული მცირე შენიშვნა ქუთაისიდგან, რომელშიაც აღნიშნულია რკინის გზის ექიმ ბ-ნ ორლოვსკის მოქმედება. შენიშვნის ავტორი იმ ბრალს სდებდა ბ-ნ ორლოვსკის, რომ მან (ორლოვსკიმ) უარი შეუთვალა და არ მიუშველა უეცრად გამხდარ სამს ავადმყოფ ბავშვს როტმისტრ გამრეკლიძისას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ გამრეკლიძე და მისი ოჯახობა არა სცხოვრობენ ექიმ ორლოვსკის ნაწილში. ზემოხსენებულ შენიშვნის საპასუხო წერილი ბ-ნ ორლოვსკისა დაბეჭდილი იყო გაზ. „Новое Обоз." 9 აგვისტოს №-ში, რომელმაც საშინლად გაგვაოცა და გაგვაკვირვა. ნუთუ შესაძლებელია, რომ კაცი ასე მართლულობდეს თავს, როდესაც ის პირდაპირ დამნაშავეა!! ნეტა ვინ უნდა დაარწმუნოს ბ-ნმა ორლოვსკიმ, რომ ის ცამდის მართალია!! ტყუილს ხომ მოკლე ფეხები ასხია და, მაშასადამე, ვერც შორს გაიქცევა. რომ ბ-ნ ორლოვსკის წერილი თავიდგან ბოლომდის მართალი არ არის, ამას ბევრი დამტკიცება არ უნდა, ღვთის მადლით ექიმი ბ-ნი ძნელაძე ცოცხალია, რომელმაც დაუყოვნებლივ და დაუზარებლივ შემწეობა აღმოუჩინა და კიდეც მოარჩინა სამი ბავშვი ბ-ნ გამრეკლიძისა და არა ერთი, როგორც ამას ბ-ნი ორლოვსკი სტყუის; არც ის არის მართალი, რომ ვითომც ორლოვსკის ფერშალი ორჯელ ყოფილიყოს ავადმყოფ ბავშვებთან და წამალი რამ მიეცეს. ფერშალი არც არავის მიუწვევია და არც არავის უთხოვნია მისთვის შემწეობა; მართალია ერთხელ მისულა ის თავისის ნებით ბ-ნ გამრეკლიძისას და უთქვამს, აბა მაჩვენეთ ბავშვებიო, მაგრამ იმ დროს ავადმყოფებთან ექიმი ძნელაძე ყოფილა და ფერშლის რჩევა-წამლობა ვისთვის რა საჭირო იქმნებოდა! არა ნაკლებ საოცარია ბ-ნ ორლოვსკის წერილის უკანასკნელი სიტყვები. აი რასა სწერს იგი: „რომ მე არასოდეს არავისათვის უარი არ მითქვამს და ყოველთვის დროზედ მივშველებივარ ავადმყოფებს ამის მოწმენი არიან საერთოდ ყველა მოსამსახურეები და მათი ოჯახობაო". დიაღ, მე ერთი მოსამსახურეთაგანი და ჩემს გარდა კიდევ მრავალნი სხვანი ცოცხალნი მოწმე ვართ, რომ ექიმი ორლოვსკი ძლიერ ხშირად (თუ ყოველთვის არა) არ გვაქცევდა ყურადღებას ავადმყოფებს (უფრო დაბალ მოსამსახურეს) და არც ეხლა გვაქცევს. მაგალითისათვის შორს არ წავალ. 10 აგვისტოს მე ძლიერ ავადმყოფმა მივმართე ექიმ ორლოვსკის და ვსთხოვე გავესინჯე და შველა მოეცა, მაგრამ ზედაც არ შემომხედა. მე კიდევ ვთხოვე გავესინჯე; შემდეგ როგორც იყო ხმა ამოიღო და გულ ცივად მკითხა, რა გტკივაო, მეც ვუთხარი რაც მტკიოდა, მაგრამ მაინც არ გამსინჯა: არაფერი გიჭირს სასიკვდილო, კარგად ხარო, მითხრა ბოლოს და გაუსინჯავად წამიწერა „ბიულლეტენზედ": „ჯანსაღია, კარგად არის". სულყველა ამის მოწმე იყო სამი ავადმყოფი, რომლებმაც ყოველივე სიმართლე უჩვენეს ჟანდარმს ოქმის შეყენების დროს. მეტი რა გზა მქონდა ავდექი და დაუყოვნებლივ მივმართე უფრო კაცთ-მოყვარე ექიმებს, რომლებმაც (ისინი სამნი იყვნენ) გამსინჯეს, და დაინახეს ჩემი ავადმყოფობა და წამლობა მირჩიეს, თან მოწმობაც მომცეს, რომელიც უკვე წარვადგინე რკინის გზის სამმართველოში.

ეს წერილი თავისს დროზედ იყო გაგზავნილი გაზ. „Новое Обоз". რედაქციაში, მაგრამ პატივცემულმა რედაქციამ არ ინება ამის დასტამბვა და შემდეგის სიტყვებით გამომისტუმრა: „ეს წერილი კიდევ გამოიწვევს წერილს, იმას კიდევ სხვა წერილი მოჰყვება და ამიტომ ნურას უკაცრავად, ვერ დავბეჭდავთო".

ვ. მ—ლია

## სასამართლოს მაჩვენებელი

—

საქმეები, რომელნიც უნდა განიხილოს ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ ქ. დუშეთში

2 სექტემბერს:

სიხანა წიკლაურისა, რომელსაც ისა ჰბრალდება, რომ პეტრე წიკლაურის მოკვლა უნდოდა თურმე.

ჩამართი მეხაურისა, რომელსაც ჰბრალდება ქურდობა და ის დანაშაული, რომ ხადაურის მოკვლა უნდოდა.

ივანე ხუციშვილისა, რომელსაც ჰბრალდება გრიგოლ ბიტარაშვილის მოკვლა.

3 სექტემბერს:

გოგია ყარაშვილისა, სასჯელთა დებულების მე-1464 მუხლ. აღნიშნული ბრალი ედება.

პეტრე მელაძისა, რომელსაც მკვლელობა ჰბრალდება.

პლატონ გვანოვასი, ის ბრალი ედება, რომ კაცის მოკვლა განიზრახა.

ივანე ფირმისაშვილისა—სასჯელთა დებულების მე-286 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

4 სექტემბერს:

დავით კეხელის და ალექსანდრე მახარაშვილისა, რომელთაც შაბურიშვილის მოკვლა ჰბრალდებათ.

გიორგი მოლოდინიშვილისა და დავით მირზაშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ.

## განცხადებანი

**სასწავლებელი და პანსიონი**

კოლლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერსტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუჰგალტერიას. ფასი თვეში 5 მანათიდგან, სწავლის პონსიონში 15 მანეთიდგან. ბუჰგალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30.

(10—157—4)

1881 წელს უმაღლესად დამტკიცებული

**დამზღვევი საზოგადოება**

**„როსსია"**

(რუსეთი)

ს.-პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, 37

**ძირისა და სათადარიგო თანხა 29,000,000 მანეთი.**

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

ე. ი. თანხისა და შემოსავლისა ოჯახის ანუ საკუთარის მოხუცებულობის, ქალის მზითვის, კაცთა სტიპენდიების და სხ. უზრუნველ-საყოფელად, განსაკუთრებულ სახეირო პირობებითა და ისე, რომ დამზღვეველნიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების მოგებაში.

1896 წლის 1 იანვრისთვის „რუსეთი"-ს საზოგადოებაში დაზღვეულ იქმნა 41,397 კაცი 102,694,700 მან.

**დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთოდ ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა იმ პირობით, რომ დასაზღვევი შესატანი შემცირებული იქმნება დივიდენდის ჩარიცხვისა გამო.

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველგვარ უძრავისა და მოძრავის ქონების (შენობათა, მანქანებისა, საქონლისა, ავეჯისა და სხვ.)

**დაზღვევა გასაგზავნ საქონლისა**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით და აგრეთვე გემებისა.

—

**განცხადება დაზღვევის მსურველთაგან მიიღება და ყოველგვარი ცნობები** ეგზავნება გამგეობას პეტერბურგში (ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი, № 37): **ტფილისის** განყოფილებაში (სერგეევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

**უბედურ შემთხვევისაგან დასაზღვევი ბილეთები მგზავრებს** როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ, მიეცემათ რკინის გზის სადგურსა და ნავთ-სადგურებზედ.

(6—147—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Августа 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.